№ 259
ხუთშაბათი, 30 ნოემბერი 1895

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 259
ხუთშაბათი, 30 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“
გამოვა 1896 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების** წინარეხის სკოლაში დაცლილია მასწავლებლის ადგილი. ვისაც ჰსურს ამ სკოლაში მასწავლებლად განწესება, თხოვნა უნდა შეიტანოს საზოგადოების გამგეობაში. ჯამაგირად ეძლევა მასწავლებელს 360 მანეთი. ამას გარდა ექნება სადგომი და სათბობად სკოლისგან მიეცემა შეშა.

29 ნოემბ. 1895 წ.

(3—1)

**ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლი** მოიწვევს თავად-აზნაურობას გუბერნიისასა, განსაკუთრებულ საგუბერნიო კრებაზე, რომელიც შესდგება ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგომში ჩვიდმეტს მომავალს დეკემბრისასა, ათს საათზე დილით, ამოსარჩევლად ორის დეპუტატისა, დასასწრებლად აწ მდგომიარე უწმინდესის გვირგვინოსნობისა მათის იმპერატორებით უდიდებულესობათა.

(3—6—2).

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

კრებული
არითმეტიკულის ამოცანებისა და რიცხვითის მაგალითებისა.
მოსამზადებელი კურსი
შედგენილი
რ. ჯაჯანაშვილის მიერ
გამოცემა მესამე,
შეუცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდგან, რომელიც მოწონებულია სახელ-მძღვანელოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო რჩევისაგან.
ფასი ხუთი შაური.

10—6

ამითი ცხადდება, რომ **წესდება კახეთის მევენახეთა საზოგადოებისა** სახელწოდებით „კახეთი“, ჯეროვანის მთავრობის-მიერ დამტკიცებულ იქმნა 14 აგვისტოს ამა 1895 წ. და დადგენილის წესით კიდეც გამოცხადდა საჯაროდ. აღნიშნულ საზოგადოების წევრნი დამაარსებელნი და აგრეთვე კახეთის სხვა მევენახენიც მოწვეულ არიან 1895 წლ. 10 დეკემბრისათვის საღამოს 8 საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, რათა ხსენებული წესდება მოქმედებაში შევიდეს და საქმის ორგანიზაციაც დაწყებულ იქმნას.

(3—6—3).

კაბინეტი კბილის ექიმთა
ვ. ი. ჟიჟინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—საღამოს 4—7 საათამდე.

ვეკილი ვკისრულობ
ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველთ მოვკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ახალი ამბავი

—

*** ამ თვის 26, კვირა დღეს, ტფილისიდამ მომავალი ომნიბუსი სიღნაღისაკენ, გავიდა თუ არა ლაკბის ხევს, ასე სამიოდე ვერსის მანძილზე, გატყდა და მგზავრები ხუთ საათზე მეტი ხანი ცის ქვეშ მოჰყვნენ. კიდევ კარგი, რომ წყნარი ამინდი იყო. ვიდრე მეეტლე დაბრუნდებოდა კაჭრეთის სადგურზე და აცნობებდა, თითქმის საღამოს ცხრა საათამდე მინდორში ისხდნენ საცოდავი მგზავრნი.

*** „ნოვ. ობ.“-ს გაუგონია, რომ საბჭოს საგანგებო კომისიას განზრახვა აქვს გარდაწყვიტოს ტფილისში ქალაქის საზოგადო ბიბლიოთეკის დაარსება, ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე აბრძანების სამახსოვროდ.

*** 1896 წლის ტფილისის ხარჯთ-აღრიცხვა 20 ათასი მანეთის დეფიციტით არის შედგენილიო, ამბობს იგივე გაზეთი.

*** სახელმწიფო საბჭოში შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან შეტანილი პროექტი შესახებ გუბერნატორებისა და ვიცე-გუბერნატორებისა საჭიროა 350,000 მ. ფინანსთა სამინისტრო თუმცა ჰხედავს, რომ ასეთი მომატება ჯამაგირისა საჭიროა, მაგრამ ვერ დასთანხმდა, რომ ხსენებული ფული მთელად იყოს გადადებული, რადგანაც ასეთი ხარჯი სახელმწიფო ხაზინისთვის საძნელო იქნება.

*** ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით ამ 29 ნოემბერს დაიწყებს მოქმედებასა კომმისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოარკვიოს საქმე შესახებ ღვინოზე ბაჟის დადებისა. დიდ-ძალი მასალა თურმე აქვთ მოგროვილი, ამ საქმის შესახები. იქ არის იმის ანგარიში თუ—როგორ ებრძვიან ინგლისში, საფრანგეთში და ავსტრ-უნგრეთში ღვინის სხვადასხვა წამლებით კეთებას, აქვთ პროექტი ბ-ნ მინცლოვისა, რომ ბაჟი დაედოს ალკოგოლიან სასმელებს; აქციზების გამგებელთა წარუდგენიათ თავ თავისი აზრი ამ პროექტის შესახებ და შეუკრებიათ ცნობები შესახებ ღვინის ვაჭრობისა და ბევრი სხვა ამისთანა და დასასრულ მკურნალთა გამოკვლევანი იმისი თუ—რა ზედ-მოქმედება აქვს ჯანმრთელობაზე იმ ღვინოებს, რომელიც ეხლა ბაზრებში იყიდება რუსეთშიო.

*** სოფელ ალიდამ გვწერენ: არა ჩვეულებრივმა მოვლენამ, ამ თვეში მომხდარმა წყალ-დიდობამ, არც ჩვენი სოფელი დასტოვა უხარკოდ. ხანგრძლივის წვიმებისა და ნიაღვრებისაგან გაგიჟებულმა მდ. ფრონემ დაიტაცა წისქვილები, ბოგირები და ზოგიერთს ბედკრულ მეკომურებს, უსამართლო მიწის მზომელივით, ჩაუჭრა ვენახები და სახნავ-სათესი მიწები. მართალია წყალი ერთ უაღვილეს სასანიტარო საშუალებად არის ცნობილი და ბევრს სანიტარს გაუწია სამსახური, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სანიტრები ვერ იხსნა თავიანთ მოვალეობისაგან: ვერც მთებიდამ დაქანებულმა ნიაღვრებმა და ვერც გაცოფებულმა ფრონემ ვერ გაასუფთავეს სოფელი უწმინდურებისაგან. აქამდის თუ სოფელს ამკობდნენ „სასუქის“ გორები და ქუჩებში შედედებული ტალახი, ეხლა ზედ დაერთო წუმპეები.

თუ რამდენად ძნელია ამ ქუჩებში, უკეთა ვთქვათ, ორღობეებში სიარული, იქიდამა სჩანს, რომ აქაუ-

## ფელეტონი

მეოთხე რეხა.

(მგზავრის წერილები)

წერილი მეორე.

ბრძოლა ცხოვრების მეჯლისზე.

I

ჩვენ უკვე ავცილდით ბაქან-ბაქანად, სახნავ-სათესად მოვაკებულს მთის კალთას და ფერდობებს ვუწიეთ, როდესაც შორით მოგვესმა ცისკრის ზარი და ჩვენთან ერთად ყოველი სული აქებდა და მადლობდა ზესთა-ზენას, ცისა და ქვეყნის დამბადებელსა.

იქვე მთის გვერდაზე, მწვანე მდელოზე, ცხენებს მცვრიანი ბალახი საძოვრად დავუთმეთ და ჩვენც, ღამე ნათევ ხალხმა მზეზე გული მივითბეთ. შეგვშურდა ცხენების ხარბად მწვანის ძოვნა და ჩვენც ხელად დავნაყრდით—მგლებივით მივცვივდით ფურნეში შემწვარ ბატკანს, ნივრით დასურნელებულს. ნეტა გეყურებინათ, ისეთის მადით, ორივე ყბით ვილუკმებოდით, რომ, ნამდვილად ვიცი, იმ მთის კლდიან ხვრელში მწოლარე მშიერი მგელი, ღამის წანწალით მოქანცული, შურის თვალით გამოიყურებოდა, ბედს შეგვნატრიდა, პირს ნერწყვი მოსდიოდა. ჩვენც აკი გულმოწყალედ მოვიქეცით: რა ძვლებსაც ჩვენი კბილების მინაქარი ვერ მოერია, დიდ-სულოვნად მგელს დავუთმეთ.

რა ვქნა, მგელო, ნუ გეწყინება, ნურას უკაცრაოდ ნასუფრალზე, ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე.

შევიარეთ შამბნარიანი შელმართი და პირველი სოფელი ხუმრისი დაგვიხვდა, რომელიც უფრო ნასოფლარსა ჰგავს.

რუს-ოსმალოს უკანასკნელ ომამდე აქ და სოფ. მოდეგიაში ბერძნები ესახლნენ და ომის შემდეგ ყარსისკენ ითხოვეს, გადასახლდნენ, ძლიერ გაგვიკვირდა როგორ მოხდა, რომ ჯერ აქ სხვა სისხლ-ხორცის ხალხი არ დაუსახლებიათ. ჭეშმარიტად რომ ღირსეული შვილი იყო თავის ერისა სახელმწიფო ქონებათა აწ განსვენებული გამგე. დიდ-კაცობაშიაც-კი არ ივიწყებდა თავის მოძმეთ და იგინი ორი ათასამდე ახლად დაასახლა ტფილისის გუბერნიაში. ვერ წარმოიდგენთ, რა შევიწროებაში არიან მამულის უქონლობით ამ ხუმრისის ახლო მდებარე ქართველთა სოფლები, მეტადრე ჭიხარულა, მერე ბარალეთი, კოთელია და სხვა, მაგრამ აწ განსვენებულ გამგეს დროს არამც თუ დასახლების ნებას ვერ მიიღებდით, სახელმწიფო სათიბ-საძოვრების შოვნაშიაც-კი უპირატესობა სხვა რჯულის ხალხს ჰქონდა მინიჭებული.

მახლას.... ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე.

„კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო,
ჩავვარდი გულის ხმასაო“,
სხვანი ასე ირჯებიან,
შენც ალვიძებდე ჭკუასაო.

—

სოფ. ხუმრისი ტბისყურთან მდებარეობს. ამ ტბას ახლა ტაბიწყურს ეძახიან—ნახევარი ტბისა ბორჯომის მამულს ეკუთვნის და ნახევარიც სახელმწიფოა ჯავახეთში.

აი გიამბობთ, რად დარქმევია ამ სოფელს ხუმრისი—დაიწყო ჩვენმა თანამგზავრმა და განაგრძო—აგერ გაჰხედეთ ტბის იქით ნაპირს, ბორჯომის მამულში სოფელი წითელი საყდარია, ხუმრისელი ავთანდილი, წითელ-საყდრელ თინათინის ეშხით იწოდა, მაგრამ ტბის სივრცე-სიშორე ხელს უშლიდა. მოგეხსენებათ, თუ კაცმა მოინდომა, შეუძლებელი არაფერია. სიყვარულით გამსჭვალულმა ბიჭმა ბოლოს ისეთი ცურვა ისწავლა, რომ მთელი ტბა და მისი ტალღები სახუმაროდ მიაჩნდა. რომ დაღამდებოდა, ტბის ნაპირას გოგო დაიჭერდა ანთებულ მკვარს და ამ ნიშანზე ეცემოდა ბიჭი ტბას და 3—4 ვერსის მანძილზე ცურვა-ცურვით ხელად გოგოსთან გაჩნდებოდა. დიდხანს სტკბებოდნენ ქალ-ვაჟი სიყვარულის ცეცხლის შრეტით, მაგრამ ამათაც ჩაჰშხამდათ ნეტარება და თაფლი ძიმწარედ გადაექცათ. ერთხელ გოგო ეხუმრა: „მე რომ მკვარი არ აგინთო, შენ ვერც-კი მომაგნებო“. ბიჭს ტოლა არ იყო ეწყინა—მე ხუთ ვერს ტბას ცურვით ვაპობ და ეს რაებს მეუბნებაო. ქალმა განაგრძო:—„მტყუანს რა უთხრა, ყველაფერი ჩემი უნარიაო“...

გაიარა კარგა დრომ და აკი უხუმრა გოგომ! ერთ ღამეს კუმეტ-ბნელაში ჯერ აანთო მკვარი და მერე როცა ივარაუდა, ახლა-კი შუა ტბამდე იქნებაო, მკვარი გააქრო, ბიჭმა, გზა-კვალ დაკარგულმა, უნიშნოდ, წყვდიად-ბნელაში, ცურვით ნაპირს ველარ მიაგნო, იტრიალა, იტრიალა და მკლავებ მოღუნებული ტბის უფსკრულში შთაინთქა.

ეს ამბავი გოგომ შეიტყო თუ არა გაგიჟდა და ისიც ტბაში გადავარდა.

ხალხმა სთქვა, ეს ვერაფერი ხუმრისი (ხუმრობა) იყოო!?

ესევე ლეგენდა მე გამიგონია ფარვანის ტბაზე (უდიდესი ტბაა ჯავახეთში)—ფარვანელი გოგო მკვარს უნათებდაო და ქოროღლის მთების ნაპირებიდამ, ბიჭი. პეპელა ფარვანასავე ამ შუქზე ტბაში ცურვით გადადიოდაო. ბოლოს ისიც ტბაში დაიღუპა და მას აქეთაა ტბას ფარვანა ეწოდაო.

II

ხუმრისში გაგვიმასპინძლდა ქართველი-მაჰმადიანი სულეიმანა, რომელიც აქ მამა-პაპითვე ბინადრობს თავის სამიოდ კომლ მეზობლით. ეტყობა რომ ამ სოფელში ოდესმე ქართველთა სიცოცხლე მძლავრად სდუღდა.

ახლა-კი მოწმად საქართველოს აქ მეფობისა სულეიმანა-ღა დაგვრჩენია, რომელსაც ამ ათიოდ წლის წინად თავის ბებია ქრისტიანულის წესით დაუმარხავს.

ერთი უტყვი მოწმეც აქ ქართველების ძლიერებისა, წითელი თლილი ქვით ნაშენი გუმბათიანი ეკკლესია სდგას წმ. გიორგის სახელობაზე. მლოცველები, მეტადრე ზაფხულობით,

რი „ინტელიგენცია“ ფეხით ვერა ჰბედავს სიარულს და „ვეჩერებში“, თუ ეკკლესიაში „ერეკლეს ფაიტონით“ დაბრძანდება.

ეს დღისით, და ღამით ხომ ყოვლად შეუძლებელია მეზობელთან მისვლა! უგზო-უკვლო, ტალახით სავსე ორღობეებს ზედ დაურთეთ ირგვლივ სიბნელე და თვალ წინ წარმოგიდგებათ ის გაჭირვება, რა გაჭირვებითაც უნდა გაიაროს ადამიანმა ამისთანა გზაზე.

საკვირველია ღმერთმანი! როცა-კი მოაგონდებათ, ავალებენ ხალხს სურამისა და გომის გზების შეკეთებას და ის-კი ავიწყდებათ, რომ თვით სოფელშივე მოიპოვება საგანი, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. სოფლის დასუფთავება, წუმპეების დაშრობა და გზების შეკეთება, ვგონებ, უნდა ყურადღების ღირსი იყვეს, თუმცა-კი ფიქრადაც არ მოსდის, ვისაც ჯერ არს, ამ საგანზე იზრუნოს.

*** იქიდამვე: ეს ორი დღეა რაც გამოიდარა.

26 წარსულ თვის აქეთია ხან წვიმს და ხან თოვლს. უამინდობისაგან გულგატეხილი გლეხ-კაცობა, რომელიც ღმერთს გამოდარებას შესთხოვდა, ეხლა დიდ ფაცი-ფუცშია: ვისაც დასაფარცხი ჰქონდა, ფარცხავს და ვისაც მოსახნავი—ჰხნავს.

*** ჩრდილო-კავკასიაში გერმანელები ძალიან ეტანებიან დასასახლებლადა. ეხლახან კავკავში მოსულან საქსონიიდამ რწმუნებულნი კაცნი მიწების ამოსარჩევად ასიოდ კომლის გადმოსასახლებლად. სადღაც მოზდოკის ახლო მოსწონებიათ ადგილები და შუამდგომლობა დაუწყიათ, რომ ნება მისცენ გადმოსახლებისა. ამბობენ, რომ კარგა შეძლებული ხალხი აპირობს გადმოსახლებასაო. (ნ.)

*** ს. ხოირში (სამეგრელო): ჯერ იყო და წრევანდელმა მოუსავლობამ შეგვიღონა გული და ცხარე ცრემლით გვატირა, რომ მთელის წლის გარჯამა და შრომამ ფუჭად ჩაგვიარა და ახლა, რაც გვაკლდა, ამ წყალ-დიდობამ დაგვითავა. აუარებელი ზარალი, რომელიც-კი უკანასკნელმა ნიაღვრებმა და მდინარეთა მოდიდებამ მოგვცა, დღეს სწორედ საშინელებას წარმოადგენს ჩვენთვის: ნეტა საიდამ უნდა გადვიხადოთ ან სახელმწიფო და სხვა ხარჯი და ან როგორ გამოვიკვებოთ თავი მთელს წელს?.. აი, რა აწუხებს დღეს ყველა ამერს.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი აგიაშვილნი. 1850 წ. 6 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებულს იმერეთის თავადთა საოჯახო სიაში თავადად არიან აღნიშნულნი: პოდპორუჩიკი თეიმურაზ სვიმონის ძე და შვილნი მისნი გიორგი და კაკელა; 2) პრაპორშჩიკი ბებე სოლომონის ძე, ცოლი ამისი სალომე, შვილნი მათნი: ქაიხოსრო, კონსტანტინე, მარიამ და ქეთევანი; 3) ბეჟან სვიმონის ძე; 4) დიმიტრი სვიმონის ძე, ცოლი ამისი სირბილა, შვილნი ამათნი: დავით, ავაგო, ბეგლარ, მაგრინე, ეკა და ლისო; 5) პრაპორშჩიკი სვიმონ დავითის ძე, ცოლი ამისი ნატალია, შვილნი ამათნი: სარდიონ, დავით და ბარბარე და 6) ბეკო გიორგის ძე, ცოლი ამისი მართა, შვილნი ამათნი: ივანე, მიხეილ, ლევან, მზეხა, გინია, ეფროსინე, მართა და რაქილი.

## კორესპონდენცია.

შირაქი. 21 ოქტომბერს, შაბათს შუადღის უკან, ერთს ახალგაზდა მეცხვარე თუშს ალექსი ბექურაიძეს დაეკარგა ყოჩი. ყოჩის საძებნელად ჯერ თავისთან ნამყოფი მოჯამაგირე ბიჭი გაჰგზავნა და შემდეგ, როცა ამან ვერ უპოვნა, თითონ აიღო ჩოხმახი ხელში და გაეკიდა მინდორს „წაწყმედულისა ძისთვის“, როგორც უთქვამს მაცხოვარს თავისს იგავში. იმ დღეს წასული მეცხვარე ალექსი, მკითხველო, დღესაც არა სჩანს. წავიდა ყოჩის საძებნელად და შემდეგში ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ—ეს არავინ იცის... ალექსის მამა სულა ალაზნის გაღმა სოფლებში თოხლებს უდგა და როცა ეს უბედური ამბავი გაუტანეს, საწყალს გონება დაებნა, აირივ-დაირია, თავ-ბრუ დაესხა, და ელდა ნაკრავმა გულმა ამოჰკვნესა: „ვაიმე შვილო ალექსი“! რამ შეჭამა ასე ანაზდად დიდ სულოვანი თუშის გვამი? რამ მიიყვანა ასე სულის-წყვეტასა და წარკვეთამდე? იმან, რომ ალექსი ერთად-ერთი საყვარელი შვილი იყო მოხუცებულის მამისა, ერთად-ერთი იმედი, ნუგეში და მეპატრონე სარჩოსი და ცხვრისა. მოვიდა მამა შვილის ბინაზე და შექნა ქვითინი; ცრემლებ-მორეულ თვალებს ხან აჭყეტავდა, ჰგონებდა შვილის დანახვას, იქნებ გამოჩნდეს დავინახოო, ხან ხუჭავდა, ჩოხის კალთებით პირს იმალავდა—აღარ უნდოდა ქვეყნის შეხედვა. მაგრამ ამაოდ: მისი შემბრალებელი არავინ გამოვიდა! მარტო კაცი—მამა, იჯდა ცხენზე და დადიოდა შირაქის მინდორში, გადადიოდა ბინიდამ ბინაზე, გომურებიდამ გომურებზე და ყველას დიდსა და პატარას, ლეკსა და თუშს ჰკითხავდა: „ჩემი შვილი ალექსი ხომ არ გინახავთო“. კითხვის შემდეგ ყველასაგან ელოდა სასიხარულო პასუხს, მაგრამ გაცრუებული ყველასაგან უიმედოდ ბრუნდებოდა უკანვე და ლუღლუღებდა თავისთვის: „ვაიმე, შვილო ალექსი“. ასე ძებნაში გაატარა მთელი ორი კვირა და არ დარჩა უნახველ-დაუთვალიერებელი არც ხევი და ღელე, არც ბუჩქი და ტყე, არც ბინა და გომურები, არც სანაპიროები ივრისა და ალაზნისა! როცა ერთი ცხენი ეღლებოდა, უსუსტდებოდა და ველარ სძლებდა სიარულსა, საჩქაროდ სცვლიდა ერთს მეორეზე და ახალის მერანით დაჰქროდა ჯავრით გატაცებული თვალ-გადუწვდენელ შირაქის მინდორზე. ხმა შემოესმა სულას, რომ შენი შვილი ალექსი ალაზანს გაღმა სოფლებში დაიარებაო. სულა გადაჯდა ახალ ცხენზე და გავარდა გაღმაც. შემოვლო ყველა მულანლოების და ინგილოების სოფლები, მოიარა საბაზრო და სალაყბო მოედნები, ყველას ეკითხებოდა: „ჩემი შვილი ალექსი ხომ არ გინახავთო“! მაგრამ ვერაფრის ამბავი ვერ გაიგო. მთელი სამი კვირა ხელაღებული იყო ცხვარზე, მარტოდ-მარტო კაცმა იარა და იწოწიალა ხევ-ღრანტეში, მიმოირბინა შირაქის მინდორი და ჭარის ოლქი, სამი ცხენი ჯაფით დაწყვიტა, ზოგს ფულს შეჰპირდა, ზოგს რას—მაგრამ მაინც არა ეშველა-რა საწყალს მამას: ვერ იპოვნა თავისი შვილი ალექსი! თმა გაწეწილი, ჯან მისუსტებული, ჯავრისაგან დაღვრემილ-ჩამომხმარი, გახვეულია ეხლა თექა-ნაბადში, დასცქერის თავის ცხვარს, მინდორზე თეთრად გაშლილს, იქვე გვერდზე ზურგებ გადაქლეტილ და დამხდარ ცხენებს და ხან ჩაეყუდება ჩოხმახს, ფიქრს ეძლევა, ხან ფეხების ხლართვით ალაგს ცვლილობს, გადადის იქით და მალი-მალ ლუღლუღებს გონება-დაფანტული: „ვაიმე შვილო ალექსი“!.. საწყალი სულა ბექურაიძე! ვინ გაუჩნდა მის შვილს ალექსის ტრიალ მინდორში?—რასაკვირველია, არა მიწის მგელი, არა ციდამ მოსული ცეცხლის ეტლი, არა ქაჯი და ქასკანჯიელი! არა! ის მოკლა ან ავაზაკის ხელმა ვერცხლის ხანჯლის გულისათვის, ან რომელიმე ბინის მწყემსმა ყოჩის გულისათვის და დაფლეს მისი გვამი ცხვრის სადგომ მიწის ქვეშ, რათა კაცის გონებამ ადვილად ვერ მიაკვლიოს მკვლელობას: საბრალოს ხანჯალზე ეწერა: „ალექსი ბექურაძისა ვარო“. ყოჩი იპოვნეს მეზობელ წოვა თუშის ბინაში. ამბობენ: შირაქის ყარაულები, ზაფხულით მოყოლებული დღევანდლამდე, სხვა-და-სხვა ჯურა ყაჩაღებს ინახვენ და ჰფარავენო. სულა ბექურაიძეს ეხლა თიანეთის მაზრის უფროსისათვისაც მიუმართავს ამ საქმის შესახებ და, უეჭველია, მაზრის უფროსი თავისებურად სასტიკ ბრძანებას მისცემს შირაქის ბოქაულსა და მამასახლისის თანა-შემწე საბა ჭოლიკიძეს და აგრეთვე სხვა პირთ, რათა ყოვლის ღონისძიებით იძებნებოდეს ერთად-ერთი შვილი სულა ბექურაიძისა, რომელმაც არ იცის ეხლა, წიაღსა შინა აბრაამისასა მოიხსენიებინოს თავისი შვილი, თუ ჯერ როგორმე ცოცხალია და ავედროს ღმერთსა მისი შეხვედრა-პოვნა. ძნელია ასეთი უნიადაგო გრძნობა კაცისა, როდესაც ორად აზრობს, ორად ყოყმანობს, არც რომ სრული მწუხარებაა სულისა და არც სიმშვიდე. რა ქნას სულამ: იგლოვოს თუ ჯერ ნუ?

ნინია თუბალაური.

13 ნოემბერი.

## ხმა ჩვენის სამღვდელოების ცხოვრებიდამ.

23 ამა ნოემბერს ქვაშვეთის სამრევლო სასწავლებლის შენობაში შეიკრიბა ტფილისის სამღვდელოება, რათა ამოერჩიათ დეპუტატები ტფილისის მომავალ სასულიერო სასწავლებლის კრებაზე დასასწრებლად. კრებაზე სამღვდელოება საკმაოდ ბლომად შეიკრიბა. დეპუტატებად კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: მღვდელნი: კ. ცინცაძე, ვ. კარბელაშვილი, ნ. მაჭარაშვილი და ა. თოთიბაძე. დეპუტატების არჩევის შემდეგ ზოგიერთებმა წარმოადგინეს კრების წინაშე განსახილველად ფრიად საყურადღებო საგნები, მაგრამ საუბედუროდ დროის უქონლობის გამო ეს კითხვები გამოურკვეველნი დარჩნენ. მ. ბლაღოჩინმა შოშიაშვილმა აღუთქვა კრებას, რომ ახლო მომავალში კიდევ მოვახდენ კრებასაო და მაშინ განვიხილოთ ეგ და აგრეთვე თუ იქნება სხვა საყურადღებო საგნებიო. ფრიად სასურველია, რომ ასეთი სამღვდელოების საბლაღოჩინო კრებები ხშირად ხდებოდეს ხოლმე. რამდენი საჭირ-ბოროტო საგნები აქვს სამღვდელოებას გამოსარკვევი! რამდენი საეჭვო და ურკვეველი აზრები ტრიალებს თვითეული სამღვდელო პირის გონებაში! რამდენი უთანხმოება და უსიამოვნება ხდება კრებულთა შორის, რომელნიც მოსპობილნი იქნებოდნენ

---

იაილებიდამ მეცხვარეები ბევრნი მოდიან—თუშები, ქიზიყლები და სხვა. ეკკლესიის „მნათედ“ თვითონ სულეიმანა არის, გასაღებიც მას აბარია და სანთლებსაც სულეიმანა ჰყიდის.

ეკკლესიის კედლებზე წარწერა ვერა ვიპოვე-რა და როგორც მახსოვს, პატივცემულმა ივანე როსტომაშვილმაც დაათვალიერა ეს ეკკლესია, რომელმაც მთელი ჯავახეთის არხეოლოგიური ნაშთი თავის წარწერებით ფოტოგრაფიულად გადიღო. სამწუხაროდ ალარავინ მიჰბაძა ივანე როსტომაშვილის მაგალითს, რომ ამ გვარადვე საქართველოს ყველა მაზრა გადაეღოთ და აეწერათ ღირს-შესანიშნავი არხეოლოგიური ნაშთი. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი სხვა მაზრა ასე სავსებით არ არის აწერილი და გადაღებული, როგორც ჯავახეთია, რისთვისაც ჩვენის მადლობის ღირსია სამშობლოსთვის დაუღალავი მოღვაწე ივანე როსტომაშვილი.

ჩვენი მასპინძელი სულეიმანა ქართულის პურადობით დაგვიხვდა, სადილზე ლაპარაკი ისევ მწვავე საგანზე, მამულის თაობაზე, ჩამოვარდა; აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებულს, აწ განსვენებულს გამგეს, სულაც არ დავიწყებია არც ხუმრისის და არც მოდეგის მამულები. ოცი კომლი ამოურჩევია შორეული სოფლის მერენიელი სომეხნი ხუმრისში დასასახლებლად! ამაზე საქმე სწარმოებდა კიდეც, მაგრამ მერენიის სოფლის საზოგადოება ერთმანეთში ვერ ჰმორიგებულა, არ დათანხმდა მარტო ოც კომლს ესარგებლა ხუმრისის მამულებით.

ბოლოს სასოფლოდ უთხოვიათ და ახლა ხუმრისი თავის სათიბებით, სახნავ-სათესით და საძოვრებით იჯარით აქვთ მერენიელებს წელიწადში 600 მანეთად.

მოდეგის მამულები-კი, რომელიც ხუმრისზე ახლოა და ქართველ სოფ. ჭიხარულას ზედ აკრავს, აზავრეთელ სომხებისათვის მიუციათ იჯარით 400 მან. წელიწადში.

ამ გვარად ქართველები-კი თავიანთ მამა-პაპეულიდამ პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილან...

მაგრამ რას იზამთ, ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე...

მე ვუსაყვედურე ქართველები უთაურნი, დაუდევარნი ხართ-მეთქი.

— ე, შე დალოცვილოო—მიპასუხა ერთმა ბარალელმა—ბარემ ათჯერაც მიგვიცია თხოვნა: შევიწროებულნი ვართ და ნება მოგვეცით ხუმრისში დავსახლდეთ ოციოდე კომლიო, მაგრამ ორჯერ უარი მოგვივიდა. მესამედ სულეიმანმა და მისმა მეზობლებმა მოწმობა მოგვცეს (пріемное свидѣтельство), რადგანაც აქ უწინაც ქართველობას უცხოვრია და მათი ეკკლესიაც არის, ოღონდ ქართველები გადმოსახლეთ და ჩვენს საკომლოებში მივიღებთო. ამ არზაზე შემდეგი „რეზოლიუცია“ აწერია: Преимущество будетъ дано Мереніицамъ — უპირატესობა მერენიელებს მიეცემათო“.

— ?!.

რა გაეწყობა, ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე.

ხუმრისიდამ ტბისყურზე მისდევს სასიამოვნო გზა. ზღვის ოდენა ანკარა ტბა შორიდამ უძრავად მოჩანს—მზის სხივებზე სარკესავით ბრიალებს, რომელშიაც ცის კამარა ღრუბლებითურთ იხატება. ორის წლის წინად მქონდა სიამოვნება ამ ტბაზე ნავით სეირნობისა; იქამდე სუფთაა, რომ რამდენიმე საჟენის სიღრმეზე ფერადი კენჭები საამოდ მოჩანს. აკი ამიტომაც სავსეა გემრიელის კალმახით. საკვირველი-კია, რომ კალმახის მეტი სხვა არა თევზი არა ჰგვარობს.

როგორც ადრევე გვქონდა ნათქვამი „ივერიაში“, ეს ტბა ვახტანგ მეფის ნახელოვნარია. უზარმაზარ მთის გადაღმიდამ მდ. ქციას წყალი არხით უდენიათ და ამ მთათა შუა ვაკე, ჩავარდნილ ალაგას ტბა შექმნილა. ხალხი თუმცა ასე ამბობს, მაგრამ ტბას თითონვე აქვს ანკარა წყაროები და მეტადრე შავნაბადა მთის კალთიდამ მშვენიერი წყაროები საამოდ გამოჩუხჩუხებენ. ქციას მდინარიდამაც, უეჭველია, წყალი უდენიათ, რადგან არხი დღესაც ეტყობა, მაგრამ, მე მგონი, უფრო-კი იმიტომ, რომ ქციას გემრიელი კალმახი ამ ტბაშიაც მოშენებულიყო. მე და ჩემმა ღმერთმა ძნელია განა კალმახის მოშენება! ოღონდ ალაგი მოეწონოს და ყოველ-წლივ თითო დედალი კალმახი 25 ათას კვერცხს (ქვირითს) ამზადებს!

მაშ ჰქონიათ ჩვენს წინაპარებს პირის პატივი და გასტრონომიული გემოვნება! ჩვენც არ ვუღალატეთ მამა-პაპათა რჯულთ უმტკიცეს ჩვეულებას. ტბის ნაპირას, ჩუხჩუხ წყაროსთან, ყვავილებით მოქარგულს მწვანეზე მოვიკეცეთ და შიკრიკი მეთევზეებთან ვაფრინეთ. ვიდრე ცოცხალი კალმახი მოგვივიდოდა, წყაროს ცივ-ცივი წყალით პირი დავიბანეთ, გული ვიგრილეთ და მწვანეზედვე ქვის ჩრდილოში წამოვგორდით. მართლა-და რა უბედურებაა ეს მოტიტვლებული მთები! კაცი ერთს ხეს, ერთს ბუჩქს ვერ იპოვის, რომ პაპანაქებაში მზეს თავი მოარიდოს, ჩრდილს შეეფაროს.

მე ცოტა არ იყოს ოცნებას მივეცი—ბუნების კალთებზე გორებამ ბუნებაზედვე ჩამაფიქრა.

იქვე ტბის ნაპირად, მწვანე შეღმართზე, მუშა ხარები მცვრიან ბალახს, დამშეულნი, აჩქარებით სძოვდნენ. რომელ ხარსაც მოესწრო ფაშვის გავსება, მუცელზე იწვა, ზარმაცად იცოხნებოდა. წარმომიდგა რომელიმე ქარხანა, სადაც ორთქლის მანქანა ატრიალებს ყველა ჩარხებს და რამდენსაც მეტ შეუკეთებ შეშას ანუ ქვა-ნახშირს, იმდენად მეტ ორთქლს მოგცემს და მეტის ძალითაც მოიყვანს მოძრაობაში მთელ ქარხანას. ისე ეხლა ეს მუშა ხარები არიან, შეიძლება წინადვე ითქვას, რომ ხარისაგან ამდენ ფუთ შეჭმულ ბალახს ამდენი ძალა და სითბო აქვსო.

ხარის ცოხვნამ გამახსენა რა საკვირლად რთულად მოუწყვია ბუნებას ამ ხარების საჭმლის მოსანელებელი იარაღი (კუჭი). როცა ხარი სძოვს, ერთ ენას-კი მოუსვამს და ხელ-დახელ მსხვილად დალეჭილ ბალახს ყანყრატოთი ჩაყლაპულს ჰგზავნის

რომანეთის დარიგებით და მაგალითით ამისთანა კრებებზე. რამდენი მშვენიერი და კანონიერი წეს-რიგი დაიდგინებოდა ამ კრებებზე და მოისპობოდა ის უწესოებანი, რომელნიც ხშირად ხდება ჩვენს სამღვდელოებაში! და სხვა კიდევ რამდენი საყურადღებო და საჭირო საგნები განიხილებოდა ჩვენის მიყრუებულ და ბურუსით შემოსილ სამღვდელოების ცხოვრებიდამ.

აი რამდენი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ჩვენს სამღვდელოებას ამისთანა საბლაღოჩინო კრებებმა, რომ იგინი რაც შეიძლება ხშირად ხდებოდნენ ხოლმე. დიაღ, დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ჩვენს სამღვდელოებას ამისთანა კრებებმა საზოგადოდ, და ფრიად დიდი, კერძოდ ტფილისის სამღვდელოების კრებებმა, რადგანაც ტფილისში შეკრებილნი არიან საუკეთესოდ არჩეულნი და უფრო განვითარებულნი სამღვდელო პირნი, და იმათი აზრნი და დადგენილებანი სახელმძღვანელოდ ექნებოდა აგრეთვე ჩვენს სოფლის სამღვდელოებასაც.

ღვთის მადლით იმედი უნდა ვიქონიოთ ჩვენის ახალგაზდა სამღვდელო პირთაგან, რომელნიც შეძლებისა დაგვარად ცდილობენ გაასწორონ და წესიერ და ღირსეულ ნიადაგზე დაამყარონ თვისი მდგომარეობა, რომ ისინი სათავეში დაუდგებიან ჩვენს სამღვდელოებას, გამოირკვევენ ყველა საყურადღებო საკითხ საგნებს და გონივრულად განსჯიან საზოგადო საბლაღოჩინო კრებებზე პატივცემულ ტფილისის სამღვდელოების ბლაღოჩინის მ. ს. შოშიაშვილის მოთავეობით, რომელიც ფრიად თანაუგრძნობს ყოველს კეთილს აზრს და საქმეს ჩვენის სამღვდელოების ცხოვრების გაუმჯობესებისას.

გ.

26-ს ნოემბერს, 1895 წ. ქ. ტფილისი.

## მცირე შენიშვნა.

—

ამ წლის „ივერიის“ 84 ნომერში გამოცხადებული იყო, რომ „შ. ცინცაძე სამუდამოდ გაემგზავრა ტფილისს და თავისის მეცადინეობით დაარსებული სამკითხველო ჩაიბარა ლანჩხუთის ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებელს კირილე წილოსანს“.

ხოლო „ივერიისავე“ 99 ნომერში თითონ ბ-მა შ. ცინცაძემ გაასწორა ეს ამბავი და სწერდა: „...მართალია სამკითხველო ბ-ნ კ. წილოსანს ჩავაბარე და მე ტფილისში ჩამოვედი, მაგრამ დროებით და არა სამუდამოდ. მე ფიქრადაც არ მომსვლია ჩემ მიერ დაარსებულ კეთილ საქმეზე ხელი ამეღო“.

ამის შემდეგ ვკითხავ ბ-ნ შ. ცინცაძეს: არის იგი ლანჩხუთის წიგნთსაცავის გამგებლად დღესაც, თუ არა? თუ კიდევ ამ საქმისათვის თავი არ დაუნებებია, რისთვის თავისს ადგილზე არ არის და თუ ასე მოიძულა გურია და გაგვშორდა, მაშინ რატომ არ აცხადებს, რომ, ვისაც საჭიროება აქვს, იცოდეს ვინ არის ლანჩხუთის წიგნთ-საცავის გამგე, ბარემ პირდაპირ იმას მიჰმართოს.

ლანჩხუთის წიგნთ-საცავის ერთი გულშემატკივართაგანი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

მეორე სტაციონერების საქმე ასე თუ ისე მალე დაბოლოვდება. ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ტევფიკ-ფაშამ და დიდ ვეზირად ნამყოფმა საიდ-ფაშამ ელჩებთან მოლაპარაკების დროს შემდეგი საბუთები წარმოადგინეს, რისთვის არ უშვებენ მეორე სტაციონერებს კონსტანტინოპოლში:

ევროპის სამხედრო გემთა ბოსფორში შემოსვლა მველ ოსმალთა შორის დიდს უკმაყოფილებას გამოიწვევს და ააჯანყებს. ხოლო ეს უკანასკნელნი უფრო საშიშნი არიან, ვიდრე ახალი ოსმალნი, რომელნიც მარტო საპოლიტიკო ცვლილებებს თხოულობენ. ჯერ დღესაც-კი მველ ოსმალთა პარტიის აზრით, სულთანმა ძალიან ბევრი დაუთმო გიაურებს და თუ რომ ამ გზაზე კიდევ წასდგა სულთანმა ერთი ნაბიჯი, მაშინ-კი სრულიად აღარ ჩაითვლება იგი მართლ-მორწმუნეთა მბრძანებლადაო. თუ რომ მართლა მველნი ოსმალნი აჯანყდებიან, რა ნაირად შეგვძლებთ ამ უწესოების დროს მათს დამშვიდებასაო? ევროპელ კონსულთა მოხსენებაში მოყვანილია ფაქტები, რომელნიც ამტკიცებენ, რამდენად უკმაყოფილონი არიან ჯარები, რომელთაც მთავრობა ძლივს-ძლივობით აძლევს ჯამაგირს.

როდესაც ამ გზით ვერაფერს გახდნენ და ჯეროვანად ვერ იმოქმედეს სახელმწიფოებზე, მაშინ სულთანმა განაცხადა, რომ ევროპის დიპლომატია ძლიერ შემცდარია და პარისის ტრაქტატის დადგენილებათ სწორად არა ჰხსნისო. თანახმად ამ დადგენილებათა მეორე სტაციონერების შეშვების შესახებ ფირმანის მიცემა დამოკიდებულია სულთანზეო.

ამავე დროს აბდულ-ჰამიდი ცდილობდა უცხოეთის ზოგიერთი მთავრობანი თავისს მხარეზე გადაეყვანა. ჟურნალ-გაზეთები ამტკიცებენ, სულთანის ასეთი მოქმედება გახდა მიზეზი, რომ სახელმწიფოთა შორის უთანხმოება მოხდაო. რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა ამის შემდეგ უკან დაიხიეს, ხოლო ინგლისისა და იტალიის წარმომადგენლებმა არაფერი არ დაუთმეს. დასასრულ, თანხმობა მაინც კვლავ დამყარდა და ზოგიერთმა გაზეთებმა „ულტიმატუმზე“ დაიწყეს ლაპარაკი. ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა ამბობს, თუ დანიშნულს დროზე სულთანი სახელმწიფოთა მოთხოვნილებას არ აასრულებს, მაშინ ინგლისის გემები დარდანელს ძალით გაარღვევენო. გერმანიის გაზეთები შეჰნიშვნენ, მართალია სახელმწიფონი ერთად წარუდგენენ ულტიმატუმს, მაგრამ შემდეგ თუ ისევ ერთად იმოქმედებენ, ეს-კი საეჭვოაო. როგორც სჩანს, ზოგიერთ სახელმწიფოთ გარდაუწყვეტიათ, თუ რომ ულტიმატუმზე უარს იტყვის ოსმალეთი, ძალით გაარღვიონ დარდანელი, ხოლო დანარჩენთ ეშინიანთ, ვაი თუ ასეთმა მოქმედებამ მართლა მუსლიმანთა აჯანყება გამოიწვიოს კონსტანტინოპოლშიო.

რადგანაც აღმოსავლეთის საგანი ამოდენად გამწვავდა და მოსალოდნელია, ევროპის სახელმწიფოები ორ დასად გაიყვნენ, დიაღ, საყურადღებოა გავითვალისწინოთ, თუ რა ძალა აქვს თვითეულს ამ დასს—ინგლის-იტალია-ავსტრიას ერთი მხრით და რუსეთსა და საფრანგეთს მეორე მხრით. ინგლის-იტალია-ავსტრიას იერიშის მისატანად დარდანელის მახლობლად მზადა ჰყავს 39 ჯავშნიანი გემი და 784 ზარბაზანი, ხოლო საფრანგეთსა და რუსეთს 12 ჯავშნიანი გემი და 280 ზარბაზანი.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— კარგა ხანია, რაც სიტყვა ჩამოგდებულია იმაზე, რომ რუსულის ანბანისაგან გამორიცხულნი დ გადაგდებულ იქმნან, ვითარცა მეტი ბარგი ასოები—„ѣ, i, θ, v, ъ“, რომელთაც უკვე დაუკარგავთ თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა და აწ მეტ-ხორცნი არიან. იგინი ერთს დროს, იქნება, საჭირონიც ყოფილან, ეხლა-კი მარტო ძველძველს ნაგავს წარმოადგენენო და ერთადერთი სიკეთე მათი ის არის, რომ მეტად აძნელებენ სწავლას მართლ-წერისასაო, ამბობს გაზეთი „ნედელია“. ეს გაზეთი შემდეგ უმატებს: ნამეტნავად აძნელებს სწავლის საქმეს ეს მეტ-ხორცნი პირველ დაწყებით სკოლებშიაო. ამ სკოლებში ნახევარ დროზე მეტი იკარგება იმის სწავლებაზე თუ—სად უნდა იხმარებოდეს ასო—ѣ. რადგანაც ამას კანონი არა აქვს, აზეპირებენ სიტყვებს, სადაც ეგ ყოვლად ურგები ასოა სახმარებელი. რაოდენი ღონე და დრო იკარგება ამისათვისაო! ის არა სჯობიაო ეს დრო და ღონე სხვას, უფრო სასარგებლო საქმეს მოხმარდესო! მაგრამ რას იზამო? სოფლის შეგირდმა რომ бѣлый-ს მაგიერ белый დასწეროს, ანუ ამის მზგავსი რამე, უცოდინარებში ჩაითვლება და მაშასადამე, არც კურსის შესრულების მოწმობის ღირსი შეიქმნებაო.

ჩვენ შევიტყეთო, ამბობს დასასრულ იგი გაზეთი, რომ მასწავლებელთ რუსულის ენისას განუზრახავთ სთხოვონ სამეცნიერო აკადემიას მართლ-წერა რუსული გააადვილონო.

— საფრანგეთში მთხოვარა-გლახები ძალიან ხერხიანი ხალხია თურმე. შარშან იქ ერთი წიგნი გამოვიდა პარიზის მთხოვარ-გლახების გამო. ავტორი ამ წიგნისა ლუი პოლიანი მოგვითხრობს, რომ პარიზში გლახა-მთხოვარობა ხელობად არის გადაქცეული. გლახა-მთხოვრების სახელმძღვანელოდ მთელი წიგნია დაბეჭდილი, სადაც დასახელებულნი არიან კეთილის-მყოფელნი და ნაჩვენებია იმათგანი ვინ სადა სდგას. პოლიანს ამისთანა წიგნი ექვს ფრანკად უყიდნია. სახელების და ბინების გარდა, ამ წიგნში სწერია ვინ რომელს საათს მიიღებს ხოლმე, რა რჯულის კაცია, რა ჩვეულებისა, რით და როგორ განიკითხავს ხოლმე გლახასა. მაგალითებრ, „ესა და ეს კაცი მდიდარი მემამულეა, ძალიანის ხალისით განიკითხავს ხოლმე გლახასა და უხვადაც, ზოგჯერ ხუთს ფრანკსაც იძლევა, სახლის პატრონებს ღარიბ მდგმურების მაგიერად უსწორდება, როცა მდგმურს ქირის მიუცემლობის გამო აგდებენო“. „ესა და ეს კაცი თავის დღეში ფულით არ განიკითხავს არავისაო, ამას მარტო ტანთსაცმელი უნდა სთხოვოთო“. „ამა და ამ ქვრივ-დედაკაცს მარტო ბალღები ებრალება, უნდა სთხოვოთ ხოლმე ტანთსაცმელი ბალღისათვის და დედისათვისაო, ზოგჯერ შესაძლოა დასტყუოთ ფულიცა, მაგრამ მარტო ბალღისთვის რძის სასყიდლადაო“.

ხსენებულ წიგნში ამისთანა რჩევა და დარიგება ათასიაო, ამბობს პოლიანი. ეს გზი მასწავლებელი წიგნი რაკი ხელში აქვს გლახასა, მარტო გაბედულობა და სირცხვილზე ხელის აღება-ღა უნდა, რომ გლახამ გაუჭირვებლივ თავი ირჩინოსო. გლახებმა კარგად იციან ინგლისური ანდაზა, რომ დრო ფულია და ტყუილად დროს არა ჰკარგვენ უადგილო ადგილას კარის რეკვისათვისაო,

---

დიდ ფაშვში (პირველი კუჭი). ფაშვში დამბალი საჭმელი გადადის მორე კუჭში (ტოტი), აქ საჭმელი ლუკმებად ნაქცევი ყანყრატოს საშუალებით ისევ საქონელის პირს უბრუნდება. ახლა-კი იწყება დინჯად ცოხვნა და ხელ-მეორედ გადაღეჭილ საჭმელს ხარი ყანყრატოთივე ჰყლაპავს და ჰგზავნის პირ-და-პირ მესამე კუჭში. ხოლო მესამე კუჭიდამ საჭმელი რამდენიმე ხნის შემდეგ გადადის მეოთხე კუჭში, რომელსაც დვრიტა ჰქვიან. ძუძუთა ხბოს მხოლოდ ეს ერთი კუჭი დვრიტა აქვს. ეს ის დვრიტაა, რომელიც იხმარება რძის ასაჭრელად—ყველის გასაკეთებლად. მერე...

ამ დროს თავს წამომადგა ჩემი აყლაყუდა თანამგზავრი და უცნაური ლაპარაკი დამიწყო...

— ე, ხო შევატყე რო შენ სხვადასხვა ცნობებს გაზეთისთვის აგროვებ....

— ?!

— ჰო და თუ მაგის ნიჭი გაქვს, ღმერთმა ბძანოს, თუ არა და აი რა მოგახსენო, თვით ჩემს ნაცნობებში რამდენი მინახავს, დაიწყებს ბატონო, ქართველობას, იბარებს ქართულ გაზეთს ან ჟურნალს, ზერაქვერადაც არ გაიცნობს სამშობლო ლიტერატურას და ახლა-კი სუ იმის ოცნებაშია, როდის იქნება, მისი გვარიც აღბეჭდილი ჰნახოს ქართულ გაზეთში. ასე ჰგონია მამულის-შვილობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ უეჭველად, გინდა თუ არა, გაქვს ნიჭი თუ არა, უეჭველად გაზეთში გაგზავნო რამ დასაბეჭდად... ჰო და იმას მოგახსენებდით,—იღებს კალამს, აწყობს უაზრო ლექსებს, ან დასწერს კერძო ადამიანზე პირადობით გამოწვეულ რაიმე ბეზღილს. გაზეთი, რასაკვირველია, არაფერს არ უბეჭდავს. ოჰ! თქვენი მტერი. მორჩა და გათავდა! იმ დღიდამ, ის აღარც ქართულს გაზეთს იწერს გამოჯავრებული, რატომ წერილი არ დამიბეჭდაო და გაზეთისავე გამოჯავრებული სრულებით ხელს იღებს ქართველობაზე და ისევ გადაგვარების გზას დაადგება ხოლმე. მას მერე, რომ მოკლა, რომ შეეძლოს კიდეც, არავითარ ქართულ საზოგადო საქმისთვის ხელსაც არ გაანძრევს.

— ჩვენდა საბედნიეროდ, მაგ ჯურა, ქარაფშუტა, უნიადაგო ვაჟბატონები ცოტანი გვყავს—მივუგე მე.

— ღმერთმა ბრძანოს, რომ ცოტანი იყვნენ... მაგრამ აბა ახლა მივიხედოთ, როგორ იქცევიან ჩვენი მეზობლები. ისინი ამბობენ, ჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო“ და თავისთვის ადრევე ჩუმად ჰმუშაობენ.

— „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“—მაგათ ფული აქვთ, ვაჭარი ხალხია. ქართველობა-კი ჯერ ბატონის ყმანი ვიყავით და ახლა ფულის ყმანი ვართ. მაგათ დიდი ხანია ასე გადააკეთეს რუსთაველის უკვდავი სიტყვები:

„ათასად გვარი დაფასდა,
ორი ათასად ზრდილობა,
თუ კაცსა ფული არა აქვს,
ცუდია გვარიშვილობა“.

— ეგ ხო მაგრეა, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ თითონაც ძლიერ გამრჯე ხალხია და! ამათ სრული სავსებით გამოიყენეს რუსეთში თავიანთი უფლებანი. ჩვენ-კი აქედ მხარეში დღეს უპატრონოდ ვართ დარჩენილი და დაჩაგრული.

ამ ლაპარაკზე შემოგვესწრო ალ. ბ—ძე და დაემოწმა ჩემს მობაასეს.

— რას ბრძანებთ ბატონებო, მგონი დროა თვალი ავახილოთ და შავი თეთრისაგან გავარჩიოთ.— შევიტყოთ, ვინაა ჩვენი მტერი და მოკეთე. ჩემის ფეხით ჩავსულვარ ტფილისში და მიძლევია წლის იჯარა 1200 მანეთი ხუმრისში და ასი თუმანი მოდეგიაში, ოღონდ ჩვენს გაჭირვებულ ქართველ სოფლებს მოგვეცით მეთქი—არ იფიქროთ, რომ რამე ვაჭრობის ინტერესი მქონოდა—ახლა-კი აგერ ნახევარ ფასად 600 მანეთად ხუმრისი მისცეს სხვებს, მერენიელებს და 400 მანეთად მოდეგია აზავრეთელებს.

თუ აქ განგებ არ იყო საქმე მოხერხებული და თუ უპირატესობა სხვისა არ არის, მაშ რა მიზეზი იყო, რომ არც ჩემი თხოვნა შეიწყნარეს და ჩვენს მამა-პაპეულს მამულს ჩვენ არ გვაძლევენ?

აბა ამაზე არის აი ნათქვამი:

„აზამბურელი თათარი ღორის თავს მედავებოდაო“.

— მაშ მართალი ვყოფილვარ თუ არა? შეებაასა ჩემი აყლაყუდა თანამგზავრი, ეგენი გაზეთებში-კი არ ჰყვირიან, საქმეს არიგებენ.

საქმე ბატონებო, საქმე! საქმით დაგვიმტკიცეთ მამულის სიყვარული...თორემ „სიტყვა უსაქმოდ მკვდარია“...

მე-კი ჩემს გულში ვფიქრობდი, ნეტა რამ გააწიწმატა ეს ჩემი მობაასენი-მეთქი, რა არის აქ ან გასაჯავრებელი, ან გასაკვირველი? აქ მხოლოდ...

ბრძოლაა ცხოვრების მეჯლისზე და ვინც გაიმარჯვებს, ბურთი და მოედანიც მისია.

ჩვენ რომ გვეძინოს, სხვისა ნეტა რა ბრალია...

ერთს ჩემს ნაცნობს ერთი თეთრფართუკიანი სომხის გოგო შეეკამათა და უთხრა, რომ სომხის ერისთანა კარგი ერი მთელ ქვეყანაზე არ არისო. ჰკითხეს: მერე შენ რა იციო და აი ამის პასუხი:

— ვარჟაპეტმა (სასწავლებელმა) სკოლაში გაკვეთილის დროს აგვიხსნა, რომ «ჰაიოც ასკი ბეს ლავ ევ ყოჩაღ ჰასკ აშხარ ბოლოროვინ ა“. (სომხის ერისთანა კარგი დაჩს ყოჩაღი ერი მთელ ხმელეთზე არ კიოპოვებაო).

აი ასე ჰზრდიან თავიანთ მოზარდ მთაობას, ასე აყვარებენ სამშობლო და ასე უღვიძებენ სიყრმიდგანვე ეროვნულს გრძნობას.

მერე რაო, განა ეს დაეძრახვით?..

ეხლა გამახსენდა ჩემი ბაასიც ერთს სომხის პატრიოტ ტერტერასთან. ჩვენი ბაასი შეეხებოდა ეხლანდელ ამბავს—სომხების ოსმალეთში ავტონომიისას.

ბოლოს უთხარი ჩემი დასკვნა:—ავტონომიისა-კი რა მოგახსენოთ და კაცობრიულ უფლებას-კი უეჭველად მიანიჭებენ ოსმალოს სომხებს, რადგან ევროპის სახელმწიფონი ხონთქარს ძალას ატანენ-მეთქი.

ამაზე აი რა პასუხი მივიღე:

— ოღონდ-კი ის უფლება მიეცეთ ოსმალოს სომხებს, რა უფლებითაც დღეს აქ რუსეთში ვართ და დაცული იყოს მათი სიცოცხლე და ქონება და ჯერ-ჯერობით ეგეც კმარა—გარწმუნებთ 20—30 წლის განმავლობაში მთელ იქაურ მამულებს და ვაჭრობა-ხელოსნობას სულ ხელში ჩავიგდებთო“.

ჭეშმარიტად რომ ბედნიერი ერია და მომავალიც ამათია.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ამ წიგნით ხელში იციან სად და ვის დაურაკუნონ კარიი.

დიდს შემოსავალს აძლევს გლახებს თურმე ყრმათა მონათვლა. პარიზში იმისთანა ბალღი ბევრია, რომელიც ხუთმეტ-ოცჯერ მოუნათლავთ ხან პროტესტანტად, ხან კათოლიკედ და იქაც და აქაც ფული უღიათ იმის მიხედვით თუ—ვინ რა რჯულს უფრო ხელს უწყობს. მასწავლებლებს, პროფესსორებს, მწერალებს, სწავლულ-კაცებს თავს შეაბრალებენ ხოლმე წერილებითა, რომელსაც ზედ დაურთამენ საქებ-სადიდებელ ლექსებს. ლექსებისათვის საკუთარი ოსტატები ჰყავთ; ეს ვაჟ-ბატონები აკროსტიხებსა სწერენ სხვა და სხვა სახელებზე და უგზავნიან საპატარძლოს მისალოცავ წერილთან ერთად და რა თქმა უნდა მილოცვისათვის გასამრჯელოს ემუდარებიან. ზოგიერთი გლახამთხოვარა მოწყალებას თხოულობს უნივერსიტეტის კარებში მაშინ, როცა ეგზამენიები აქვთ სტუდენტებსა და „მღვთის გულისათვის მიწყალობე რამე, ჩემი გაკითხვა ბედს მოგიტანსო“. ამათ გარდა მთელი ჯურაა თურმე ისეთნი, რომელნიც ეკკლესიებში გლახაობენ, ომნიბუსებში და სხვა ამისთანაში.

ომნიბუსში ხშირად შეხვდებით ამისთანა სანახავსა თურმე. ღარიბი და დასნეულებული დედაკაცი, ძონძებში გახვეული ჩაგიჯდებათ ომნიბუსში. თვალი ცრემლითა აქვს სავსე. ომნიბუსში მჯდომი ვინმე ჰკითხავს:

— ავად ხომ არა ბძანდებით?

— დიაღ, ავად გახლავარ. აი სამი კვირაა ვერსად ვერ ვიშოვე საქმე. დღეს დამპირდნენ საქმეს და უკანასკნელი გროშები არ დავზოგე იქ წასასვლელად. ფეხით სიარული არ შემიძლიან: ფეხები დასიებული მაქვს. ვაი, ჩემი ბრალი!.. უღონო და უპატრონო ვარ.

არ მოხდება ისე, რომ ერთმა-ორმა ხელი არ გაიკრას ჯიბეს და თითო-ოროლა გროში არ მოუგროვონ. იმასაც ეს უნდა ხოლმე.

ერთი მაგალითი ბევრ სხვათა შორის კიდევ მოჰყავს ავტორსა და მართლა რომ საოცარი მაგალითია იმისი თუ—მუქთა მჭამელობა რის შემძლებელია. ახალგაზდა ყმაწვილი კაცი გადავარდება ხოლმე ხიდიდამ სენაში. იქავ ვითომ და თავისს საქმეზე მიმავალი მეორე ყმაწვილი კაცი თან გადაჰყვება, წყლიდამ გამოჰყავს და დარჩობისაგან იხსნის. ამისთანა ამბავზე, რა თქმა უნდა, უშველებელი ზომა ხალხი გროვდება.

— ჩემის ცოდვით სავსევ, რად დამიხსენით სიკვდილისაგან? ცრემლით შესტირის თავისს მხსნელს დახსნილი: მე შიმშილს ველარ გავუძელ, გროში ფული არა მაქვს და ვერსად სამუშაო საქმე ვერ მიშოვნია, თავი სასიკვდილოდ გადავდე, რა გინდოდათ ჩემგან!

— საწყალობელო! ეუბნება მხსნელი: მეც არა ვარ მაძღარი, სულ ორიოდ გროში მაქვს, მოდი გავიყოთ, ნახევარი შენ, ნახევარი მე.

აბა მსმენელს და მნახველს ვის არ ასტკივა გული! გარშემო მდგომთა შორის არა ერთს და ორს მოსდის ცრემლი. ერთი ვინმე ამოიღებს და აჩუქებს რასმე, ამას მოჰყვება მეორე, მესამე და ამ სახით მხსნელსა და დახსნილს—ამ ორს ცუღლუტს ამხანაგს—კარგა ფული მოუგროვდებათ ხოლმე. მეორესა, თუ მესამე დღეს ამისთანა ეშმაკობას ჩაიდენენ ხოლმე ახლა პარიზის სხვა ადგილას და ასე ირჩენენ თურმე თავს. (ვ. ი. ლ.)

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ალექსანდრე დიუმა მისის ანდერძისამებრ უბრალოდ დაასაფლავეს. დასაფლავება სრულიად უბრალოდ მოხდა და არც სიტყვები წარმოუთქვამთ. სულ უბრალო სამგლოვიარო ეტლს მისდევდნენ: ლიტერატორნი, მწერალნი და არტისტნი. კუბოს ასაწევი ტილოები ეპყრათ: ზოლას, ჟ. კლარეტს, დეტალს, ბიზარს და დიუმას სახლის ერთს მეგობარს. მინისტრთაგან დასაფლავებას დაესწრნენ ლოკრუა და მეზიურერი. ამათ გარდა აქ იყვნენ ზოგიერთი წინანდელი მინისტრები და ბრისსონი, წევრნი აკადემიისა, დრამატიულ მწერალთა საზოგადოებისა, ლიტერატორთა საზოგადოებისა და სხვანი.

დიუმას სურვილის წინააღმდეგ საფლავზე მრავალი გვირგვინი დააწყეს.

—

ამ დღეებში საფრანგეთის პარლამენტმა გამოსთქვა თავისი აზრი რადიკალთა პროგრამის ერთის მუხლის შესახებ. ეს მუხლი შეეხება ეკკლესიის განცალკევებას სახელმწიფოდამ. სოციალისტთა დეპუტატმა წინადადება წარუდგინა პარლამენტს—სრულიად გაუქმებულ იქმნასო ბიუჯეტი, რომლითაც სახელმწიფო ინახავს სამღვდელოებას და საზოგადოდ საეკკლესიო ორგანიზაციასაო. მინისტრი კომბი წინაღუდგა ვოლტერის წინადადებას და სთქვა, რომ ეკკლესიის განცალკევება ისეთი რთული და მძიმე საქმეაო, რომ საჭიროა ამ რეფორმის შესახებ თავისი აზრი გამოთქვას მთელმა ქვეყანამაო; ახლანდელი სამინისტრო, როგორც ეს ნათლად სჩანს დეკლარაციიდამ, ვერ იკისრებს ამ რეფორმის მოხდენასო. მინისტრის სიტყვის შემდეგ კენჭი უყარეს დეპუტატის ვოლტერის წინადადებას და უარ-ჰყვეს იგი 355 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 156.

—

**კორეა.** „ფიგაროში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი კორეს დედოფლის მოკვლის შესახებ. 8 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, კორეს ორასი ჯარის-კაცი, იაპონელების მიერ წაქეზებულნი, რომელთაც თან მოსდევდა 40 სოში, მივიდნენ თაი-კან-კუას სასახლეში და მოითხოვეს იმისგან, რომ ისიც გაჰყოლოდა მათ სამეფო სასახლეში. თაი-კან-კუა-ს პირველად არ უნდოდა აესრულებინა მათი სურვილი, მაგრამ ძალის დატანებით დაითანხმეს. სასახლესთან რომ მივიდნენ, მეამბოხენი გაიყვნენ ორ დასად: ერთი შევიდა დედოფლის ოთახებში საიდუმლო კარებიდამ, მეორემ დაიჭირა მეფის ოთახებში შესავალი კარები. სასახლის დარაჯებმა ვერაფერი წინაამდეგობა გაუწიეს მათ, და მთელს სასახლეს დაეპატრონნენ მეამბოხენი. ამ დროს სოშნი შევიდნენ დედოფლის საწოლ ოთახში, ამოსწყვიტეს მისი ამალა, დედოფალს სტაცეს თმაში ხელი, შეჰკრეს და ჩააგდეს ტომარაში; მას ისე მოექცნენ, როგორც თვითვეულ მის მოახლეს. საცოდავები ტომრებში ჩამწყვდეულნი გაიტანეს ტყის გარეთ, დაარჩვეს და დასწვეს იმ ადგილას, რომელსაც „ირმების ბაღი“ ჰქვიან. მკვლელებმა დააწყეს შეშა, ზედ დაალაგეს დამრჩვალნი, გადაასხეს ზეთი და წაუკიდეს ცეცხლი. ამ ნაირად საცოდავი დედოფალი რამოდენიმე წუთის განმავლობაში ნაცრად აქციეს.

### სამხედრო ესკადრანი ხმელთა შუა ზღვაზე.

—

საომარ ხომალდთა შორის, რომელნიც დღეს ოსმალეთში არიან, პირველი ადგილი უჭირავს, როგორც სიმრავლით, ისე ძალ-ღონით ინგლისის ხომალდებს. ინგლისის ესკადრას განაგებს ადმირალი სეიმური. ესკადრა შესდგება ათ ჯავშნიან პირველის კლასის გემიდამ, ერთის პირველ კლასის კრეისერიდამ, სამის მეორე კლასის კრეისერიდამ, ერთის მესამე კლასის კრეისერიდამა და რამდენისამე ნაღმიან გემიდამ. ჯავშნიან ხომალდზე 40 დიდი ზარბაზანია, 72 შუათანა და 303 წვრილი. დანარჩენებზე 2 დიდი ზარბაზანია, 54 შუათანა და 114 წვრილი. ესკადრა სალონიკში სდგას.

მეორე ადგილი იტალიის ხომალდებს უჭირავს. ესკადრას განაგებს ვიცე-ადმირალი აჩინი. მასში ითვლება ორი ჯავშნიანი გემი პირველი კლასისა, ერთი მეორე კლასის კრეისერი, ერთი მესამისა. ყველა გემებზე ათი დიდი ზარბაზანია, 50—შუათანა და 62 წვრილი. ესკადრა სმირნაში სდგას. ამის გარდა ნეაპოლში კიდევ მზად არის სამი ჯავშნიანი გემი, ერთი კრეისერი და ორიც ნაღმიანი გემი.

შემდეგ საფრანგეთის ესკადრაა, რომელიც სდგას პირეაში და განაგებს კონტრადმირალი მეგრე. იგი შესდგება პირველი კლასის ჯავშნიან გემიდამ, ორ ჯავშნიან კრეისერიდამ, მესამე კლასის კრეისერიდამ და ნაღმიან კრეისერიდამ. აქვთ 12 დიდი ზარბაზანი, 41 შუათანა და 85 წვრილი ზარბაზანი.

ავსტრიის ესკადრას განაგებს კონტრადმირალი ზემანი ფონ-ტრეუნვარტი. იგი შესდგება: პირველი კლასის ჯავშნიან გემიდამ, სამი კრეისერიდამ და ნაღმის კრეისერიდამ. აქვთ 8 დიდი ზარბაზანი, 21 საშუალო და 50 წვრილი.

რუსეთმა გაგზავნა ხმელთა შუა ზღვაში ადმირალ კოლოგერასის უფროსობის ქვეშ ესკადრა, რომელშიაც ირიცხება: ორი პირველი კლასის კრეისერი „რიურიკი“ და დიმიტრი დონელი“. ერთი საზღვაო ნავი „გროზიაშჩი“. მათ მიემატებათ ის გემები, რომელნიც პირეაში დგანან, სახელდობრ: ორი კრეისერი „რინდა“ და „რაზბოინიკი“, და ერთი საზღვაო ნავი „ჩერნომორეცი“. აქვთ 9 დიდი ზარბაზანი, 51 საშუალო და 82 წვრილი.

გერმანიას გაუგზავნია მხოლოდ ერთი გემი და ერთი საზღვაო ნავი; აქვთ 16 შუათანა ზარბაზანი და 11 წვრილი. მთავრობას, ვგონებთ, განუზრახავს კიდევ მიუმატოს ერთი კრეისერი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ გაგზავნილი ესკადრა შესდგება ორი კრეისერიდამ და აქვთ 8 დიდი ზარბაზანი, 22 შუათანა და 39 წვრილი ზარბაზანი. ერთი კრეისერიც ამ ცოტა ხანში მიემატებათ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 27 ნოემბერს დიდი ჰერცოგი ჰესსენისა რამდენიმე დღით მოსკოვში წავიდა.

გიდროგრაფიულ გამგეობის უფროსს ენისეისკიდამ დეპეშა მოუვიდა კაპიტანის ვიგგინსისაგან, რომელშიაც ვილკიცკისა და ივანოვის ექსპედიციის გამარჯვებას ულოცავდა, როგორც პირველ ისტორიულს მაგალითს, რომ ენისეისკიდამ ტობოლსკამდე ემოგზაუროთ.

**ახალი ლადოგა.** ახალი ლადოგის მაზრის საქველ-მოქმედო საზოგადოებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ქსენონთან სამუშაო სახლი იქმნას გახსნილი დიდის მთავრინა ოლგა ნიკოლოზის ასულის სახელობაზე.

29 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** დიდის მთავრინა ოლღა ნიკოლოზის ასულის დაბადების დღის სახსოვრად პეტერბურგის მიტროპოლიტმა შესწირა 4000 მანეთი პეტერბურგის შრომის მოყვარეობის ერთ-ერთს სახლში ეკკლესიის ასაგებათ. ამ შეწირულების შესახებ მოხსენებაზედ იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა კეთილ-ინება და წააწერა: „მადლობა გადაეხადოს“.

**მოსკოვი.** გუშინ ჩამოვიდა აქ ჰესსენის დიდი ჰერცოგი მეუღლითურთ. ვოკზალზე მათ მიეგებნენ უავგუსტოესი გენერალ-გუბერნატორი მეუღლით.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტის მტრებმა სამარცხვინოდ გამოილაშქრნენ პრეზიდენტის წინააღმდეგ. ყველა გაზეთებმა გაჰკიცხეს ეს წინააღმდეგობა და ამბობენ, რომ ფორის სახელსა და პატივს ეს კიდევ უფრო გაადიდებსო.

**რომი.** მასსოვიდამ დეპეშით იტყობინებიან, რომ 26 ნოემბერს აბესინელთა ჯარი უეცრივ თავს დაესხა ამბალაგისთან მაიორ ტოზელლის იტალიის ლაშქარს. ბრძოლა 6 საათს გაგრძელდა. იტალიელნი მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ ურიცხვ მტრისაგან ძლეულ იქმნენ. გენერალ არიმანდი სწრაფად წავიდა ტოზელლის მიეშველებიო, მაგრამ წინ მტერი გადაეღობა. მოხდა ბრძოლა. არიმანდი ოფიცრებით და 300 ასკარებით ამბალაგისკენ წავიდა. ტოზელლის შესახებ ამბავი არ მოსულა. აბესინელებმა 3000 კაცი დაჰკარგეს.

**ლონდონი.** იტილიელთა ჯარი აბესინიაში ძალიან დამარცხდა. აბესინელებმა თითქმის სრულიად ამოსწყვიტეს იტალიელთა რაზმები. ეს გარემოება, ალბათ, საბუთს მისცემს კრისპის დიდი ექსპედიცია გაგზავნოს აფრიკაში აბესინიის სამეფოს დაპყრობისათვის. ინგლისის კაპიტალისტები მოელიან, რომ იტალიის სახელმწიფო ფონდები ძლიერ დაიწევენ ფასში.

„დეილი ნიუს“-ის იოკაგამელი კორესპონდენტი სწერს, რომ შორეულს აღმოსავლეთში უკანასკნელს ექვს თვეს რუსეთმა ძალიან გაითქვა სახელიო და დიდი გავლენაც მოიპოვაო; საჭირო არის ინგლისმა რაიმე რადიკალურს საშუალებას მიჰმართოს, რათა რუსეთის გავლენა მოსპოსო.

**კონსტანტინოპოლი.** საიდ-ფაშა 27 ნოემბერს, საღამოს, სახლში დაბრუნდა.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

**ავადმყოფებს მიიღებს:**

დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—56).

## ქ. თელავს

**იაფად ისყიდება ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი** ეზოთი, ბაღჩითა და ქვითკირისავე გალავნით. ძირის სართულში მოთავსებულია დუქნები, ხოლო ზევითი სართული მოწყობილია საცხოვრებლად. გორის-ჯვრის ეკკლესიის პირ-და-პირ, ძველ-გალავანში. სყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სახლის პატრონს ამ ადრესით:

Г. Владикавказъ, Александровскій пр., собств. домъ, Давиду Давидовичу Баиндурову.

(8—2023—7).

## ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა.

თარგმანი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის, ქუთაისის და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.


Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Ноября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.